10.03.2016

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

2015 წლის წლიური და 2015 წლის IV კვარტალი
(წინასწარი)

2015 წელი
(წინასწარი)

წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2015 წელს 1351 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 6 პროცენტით აღემატება 2014 წლის წინასწარ შედეგებს და 23 პროცენტით ნაკლებია ამავე წლის დაზუსტებულ მონაცემებზე.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკას 2011-2015 წლებში.

დიაგრამა №1.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2011-2015 წწ.
(მლნ. აშშ დოლარი)



*წინასწარი მონაცემები.

ცხრილი №1.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა საქართველოში
(ათასი აშშ დოლარი)

წელი	I	II	III	IV	**სულ**
2006	146,012	306,907	280,748	456,708	**1,190,375**
2007	421,370	401,452	489,112	702,908	**2,014,842**
2008	537,674	605,357	134,709	286,222	**1,563,962**
2009	113,974	177,229	173,223	193,974	**658,401**
2010	166,544	208,298	225,558	214,097	**814,497**
2011	209,720	248,335	316,595	342,594	**1,117,244**
2012	261,194	217,671	199,000	233,699	**911,564**
2013	252,316	207,893	254,825	226,868	**941,903**
2014	309,463	196,245	725,993	526,722	**1,758,423**
2015*	185,199	370,098	527,871	267,887	**1,351,054**

*წინასწარი მონაცემები.

ცხრილი №2.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები კომპონენტების მიხედვით 2014-2015 წწ.
(მლნ. აშშ დოლარი)

	2014					2015*				
	I	II	III	IV	**სულ**	I	II	III	IV	**სულ**
სულ	**309**	**196**	**726**	**527**	**1,758**	**185**	**370**	**528**	**268**	**1,351**
მათ შორის:										
სააქციო კაპიტალი	162	105	558	366	**1,192**	144	217	304	339	**1,004**
რეინვესტიცია	93	56	137	25	**312**	81	90	150	-22	**298**
სავალო ვალდებულებები	54	34	32	135	**255**	-39	63	74	-49	**50**

*წინასწარი მონაცემები.

ამავე პერიოდში რეინვესტიციის ოდენობამ მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 22 პროცენტი შეადგინა. ცხრილი №3 ასახავს რეინვესტირებული თანხების წილს მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში 2011-2015 წლებში.

ცხრილი №3.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეინვესტიცია საქართველოში 2011-2015 წწ.

	2011	2012	2013	2014	2015*
რეინვესტიციის წილი მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში (%)	30	13	28	19	22

*წინასწარი მონაცემები.

დიაგრამა №2.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და რეინვესტიცია საქართველოში 2011-2015 წწ. (მლნ. აშშ დოლარი)



*წინასწარი მონაცემები.

ცხრილი №4 ასახავს საინვესტიციო ნაკადების დინამიკას 2011-2015 წლებში. წინასწარი მონაცემებით, 2015 წელს საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემომავალმა ნაკადებმა 2487 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

ცხრილი №4.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2011-2015 წწ. (მლნ. აშშ დოლარი)

	2011	2012	2013	2014	2015*
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, სულ	**1,117**	**912**	**942**	**1,758**	**1,351**
მათ შორის:					
შემომავალი ნაკადები	1,596	1,430	2,234	2,873	2,487
ინვესტორის მიმართ ვალდებულებების შემცირება	-478	-518	-1,292	-1,115	-1,136

*წინასწარი მონაცემები.

2015 წელს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები ასე განაწილდა (ცხრილი №5):

ცხრილი №5. ძირითადი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნები საქართველოში 2015 წლის მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)

	2011	2012	2013	2014	2015*
სულ	**1,117**	**912**	**942**	**1,758**	**1,351**
მათ შორის:					
აზერბაიჯანი	138	59	82	341	542
გაერთიანებული სამეფო	55	94	55	108	198
ნიდერლანდები	242	35	153	374	111
ლუქსემბურგი	43	42	143	110	87
თურქეთი	76	81	43	63	77
ჩინეთი	10	36	90	218	58
რუსეთი	55	20	2	82	49
საერთაშორისო ორგანიზაციები	95	63	55	-106	39
აშშ	28	20	45	182	35
დანარჩენი ქვეყნები	376	460	275	387	155

*წინასწარი მონაცემები.

დიაგრამა №3.



* წინასწარი მონაცემები.

სამი უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნის წილმა მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში, 2015 წლის წინასწარი მონაცემების მიხედვით, 63 პროცენტი შეადგინა. ქვეყნების პროცენტულ სტრუქტურას განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით გვიჩვენებს სექტორული დიაგრამა

№4, რომლის მიხედვით პირველ ადგილზე აზერბაიჯანი იმყოფება 40 პროცენტით, მეორეზე - გაერთიანებული სამეფო 15 პროცენტით, ხოლო მესამეზე - ნიდერლანდები 8 პროცენტით.

დიაგრამა №4.

უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების წილი 2015* წელს (%)



* წინასწარი მონაცემები.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილება ეკონომიკის სექტორების ჭრილში, 2015 წლის მიხედვით, მოცემულია ცხრილში №6:

ცხრილი №6. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2011-2015 წწ.
(მლნ. აშშ დოლარი)

	2011	2012	2013	2014	2015*
სულ	**1,117**	**912**	**942**	**1,758**	**1,351**
მათ შორის:					
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	127	73	140	434	594
საფინანსო სექტორი	168	163	166	115	191
მშენებლობა	48	42	50	317	129
დამამუშავებელი მრეწველობა	120	168	100	205	91
ენერგეტიკა	204	179	245	190	90
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	17	18	1	-10	66
სასტუმროები და რესტორნები	23	18	-13	125	61
უძრავი ქონება	225	53	42	139	48
სამთომოპოვებითი მრეწველობა	40	5	44	43	43
სოფლის მეურნეობა, თევზჭერა	15	16	12	12	29
დანარჩენი სექტორები	131	178	156	188	10

* წინასწარი მონაცემები.

სამი უმსხვილესი სექტორის წილმა (განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით) 2015 წელს 68 პროცენტი შეადგინა. ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში განხორციელდა და 594 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 44 პროცენტია. მეორე ადგილზე იმყოფება მშენებლობა 191 მლნ. აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე - დამამუშავებელი მრეწველობა 129 მლნ. აშშ დოლარით.

ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2015 წელს განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პროცენტული განაწილება მოცემულია დიაგრამაში №5:

დიაგრამა №5.

უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2015* წელს (%)



* წინასწარი მონაცემები.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში (ცხრილი №7.) წარმოდგენილია უმსხვილესი კომპანიების რეიტინგული ნუსხა 2015 წელს განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით.

ცხრილი №7. კომპანიების ტოპ ათეული 2015* წელს განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით

№	კომპანიის დასახელება
1	ბი-ფი ჯგუფი
2	სს საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი
3	სს ბიჯეო ჯგუფი
4	შპს CBD Development
5	აიდიეს ბორჯომი შპს აიდიეს ბორჯომი ბევერიჯიზ კომპანის საქართველოს ფილიალი
6	შპს აჭარისწყალი ჯორჯია
7	შპს ტავ ურბან საქართველო
8	სს ნენსკრა ჰიდრო
9	შპს რუსთავის აზოტი
10	შპს ბათუმი თაუერი

* წინასწარი ინფორმაცია.

2015 წლის IV კვარტალი
(წინასწარი)

წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2015 წლის IV კვარტალში 268 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2014 წლის IV კვარტალის წინასწარ მონაცემებზე 23 პროცენტით, ხოლო ამავე პერიოდის დაზუსტებულ მონაცემებზე 49 პროცენტით ნაკლებია.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკას 2014-2015 წლებში.

დიაგრამა №6.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2014-2015 წწ.
(მლნ. აშშ დოლარი)



*წინასწარი მონაცემები.

ცხრილი №8 ასახავს საინვესტიციო ნაკადების კვარტალურ დინამიკას 2014-2015 წლებში. წინასწარი მონაცემებით, 2015 წლის IV კვარტალში საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემომავალმა ნაკადებმა 795 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

ცხრილი №8. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2014-2015 წწ.
(მლნ. აშშ დოლარი)

	2014				2015*			
	I	II	III	IV	I	II	III	IV
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, სულ	**309**	**196**	**726**	**527**	**185**	**370**	**528**	**268**
მათ შორის:								
შემომავალი ნაკადები	520	584	1 016	753	454	545	692	795
ინვესტორის მიმართ ვალდებულებების შემცირება	-210	-388	-290	-226	-269	-175	-165	-528

*წინასწარი მონაცემები.

2015 წლის IV კვარტალში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები ასე განაწილდა (ცხრილი №9):

ცხრილი №9. ძირითადი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნები საქართველოში 2015 წლის IV კვარტალის მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)

	2014				2015*			
	I	II	III	IV	I	II	III	IV
სულ	**309**	**196**	**726**	**527**	**185**	**370**	**528**	**268**
მათშორის:								
აზერბაიჯანი	64	78	110	89	59	160	173	150
გაერთიანებული სამეფო	33	-14	24	64	12	32	41	113
ლუქსემბურგი	16	54	17	23	12	20	31	24
აშშ	14	3	146	18	8	-5	14	18
ავსტრია	0	6	2	-3	-1	0	1	14
რუსეთი	21	22	17	22	23	6	9	11
ჩინეთი	4	18	152	44	1	7	40	10
დანარჩენი ქვეყნები	156	29	257	270	71	150	219	-72

*წინასწარი მონაცემები.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილება 2015 წლის IV კვარტალის მიხედვით ეკონომიკის სექტორების ჭრილში მოცემულია ცხრილში №10:

ცხრილი №10. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2014-2015 წწ.
(მლნ. აშშ დოლარი)

	2014				2015*			
	I	II	III	IV	I	II	III	IV
სულ	**309**	**196**	**726**	**527**	**185**	**370**	**528**	**268**
მათ შორის:								
საფინანსო სექტორი	92	-129	41	112	-4	46	73	77
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	-2	-2	-2	-3	0	0	0	65
დამამუშავებელი მრეწველობა	58	58	55	35	5	30	33	23
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	82	113	133	107	146	207	218	22
მშენებლობა	-1	31	183	104	24	25	62	18
სასტუმროები და რესტორნები	15	18	63	29	17	18	10	16
უძრავი ქონება	4	5	164	-35	-10	19	22	16
სამთომოპოვებითი მრეწველობა	6	12	8	17	18	1	14	10
სოფლის მეურნეობა, თევზჭერა	-2	9	4	2	2	7	12	8
ენერგეტიკა	23	79	51	37	21	20	60	-11
დანარჩენი სექტორები	36	3	27	122	-34	-4	24	24

*წინასწარი მონაცემები.

სამი უმსხვილესი სექტორის წილმა (განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით) 2015 წლის IV კვარტალში 62 პროცენტი შეადგინა. ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია საფინანსო სექტორში განხორციელდა და 77 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 29 პროცენტია. მეორე ადგილზე იმყოფება ჯანდაცვის სექტორი 65 მლნ. აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე - დამამუშავებელი მრეწველობის სექტორი 23 მლნ. აშშ დოლარით.

ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2015 წლის IV კვარტალში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პროცენტული განაწილება მოცემულია დიაგრამაში №7:

დიაგრამა №7.

უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2015* წლის IV კვ-ში (%)



*წინასწარი მონაცემები.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში (ცხრილი №11.) წარმოდგენილია უმსხვილესი კომპანიების რეიტინგული ნუსხა 2015 წლის მეოთხე კვარტალში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით.

ცხრილი №11. კომპანიების ტოპ ათეული 2015* წლის IV კვარტალში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით

№	კომპანიის დასახელება
1	ბი-ფი ჯგუფი
2	სს საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი
3	სს ბიჯეო ჯგუფი
4	შპს დრიმლენდ ოაზისი
5	აიდიეს ბორჯომი შპს აიდიეს ბორჯომი ბევერიჯიზ კომპანის საქართველოს ფილიალი
6	შპს მაგთიკომი
7	ბორუსან მაქინა ვე გუჩ სისტემლერი სანაი ვე თიჯარეთ სს–ის საქართველოს წარმომადგენლობა
8	შპს პრიმერა გოლფ ენდ რეზიდენც
9	სს Hualing international special economic zone
10	სს ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია

* წინასწარი ინფორმაცია.

<u>წყარო:</u>

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (სტატისტიკური გამოკვლევა"საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შესახებ");
2. საქართველოს ეროვნული ბანკი;
3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

<u>შენიშვნა:</u> ცალკეულ შემთხვევებში მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა დაშესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით;

შესაბამისი წყაროებიდან მიღებული დაზუსტებული ინფორმაციის საფუძველზე განხორციელდა 2015 წლის კვარტალური მონაცემების დაზუსტება.

<u>განმარტება:</u> ინვესტორის მიმართ ვალდებულების შემცირებაში იგულისხმება დივიდენდების გაცემა, სავაჭრო კრედიტის დავალიანების დაფარვა, სესხისა და პროცენტის თანხის გადახდა.

<u>გამოყენებული პირობითი აღნიშვნა:</u>

0 მაჩვენებლის სიდიდე უმნიშვნელოა.

2015 წლის დაზუსტებული მონაცემები გამოქვეყნდება 2016 წლის 15 აგვისტოს.

საკონტაქტო პირი: ლია ძებისაური, ტელ.: (+995 32)36 72 10 (300). E-mail: ldzebisauri@geostat.geinfo@geostat.ge
www.geostat.ge, info@geostat.ge